Policy, Advocacy and Civil Society Development in Georgia (G-PAC)

საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში

Eastern Alliance for Safety and Sustainable Transport.

FIA Foundation for the Automobile and Society

უსაფრთხო

სუფთა

სამართლიანი

მწვანე

გაეროს 2015 წლის შემდგომი სამოქმედო პროგრამა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დაიწყო კონსულტაცია 2015 წლის შემდგომი მსოფლიო განვითარების პოლიტიკის დღის წესრიგის შესაქმნელად. საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ფონდი ადვოკატირებას უწევს უსაფრთხო და მდგრადი ტრანსპორტის, როგორც ახალი პრიორიტეტის აღიარებას „მდგრადი განვითარების მიზნებში“. იგი მოითხოვს ყურადღების გამახვილებას საგზაო უსაფრთხოებაზე, ჰაერის სისუფთავის ხარისხზე, ტრანსპორტისა და საწვავის ეკონომიაზე. ყოველივე ამას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში, მწვანე ტრანსპორტის განვითარებასა და მდგრადი ენერგიის გამოყენების გავრცელებაში, რაც , საბოლოოდ, აისახება მილიონობით ადამიანისთვის ცხოვრების დონის ამაღლებასა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაზრდაში..

უსაფრთხო

მე ვიცავ საგზაო წესებს!

მსოფლიო გზებზე ყოველ 6 წამში ვიღაც კვდება ან სერიოზულ ტრავმას იღებს.
სტატისტიკის მიხედვით, 15-დან 29 წლამდე ახალგაზრდების სიკვდილიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი საგზაო შემთხვევები გახლავთ. ავტოკატასტროფების შედეგად დაღუპულთა რაოდენობა მამაკაცებში აივ-ინფექციებით სიკვდილიანობის მაჩვენებელს უტოლდება. მსოფლიოში ავტოავარიების შედეგად გარდაცვლილთა 90%-ზე მეტი საშუალო და დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებზე მოდის. 2011 წელს გაერთიანებულმა ერებმა (UN) საგზაო უსაფრთხოების ათწლეულის სამოქმედო პროგრამის განხორციელება დაიწყო. პროგრამის მიზანია 2020 წლისთვის სტაბილური გახდეს და შემდეგ ეტაპზე შემცირდეს საგზაო შემთხვევების შედეგად დაღუპულთა და დაშავებულთა რაოდენობა. ჩვენ მივესალმებით გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის, ბან კი-მუნის მიერ თავის ანგარიშში – „სიცოცხლე ყველას უფლებაა“ – საგზაო უსაფრთხოების საკითხის 2015 წლის შემდგომი პერიოდის ჯანდაცვის სფეროს ერთ-ერთ პრიორიტეტად აღიარებას.

ჩვენი მიზანია, საგზაო შემთხვევებით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირება . აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნება 2030 წლისთვის მდგრადი განვითარების მიზნებში, სადაც მოთხოვნილი იქნება მსოფლიოში საგზაო შემთხვევებით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებლის 50 %-ით შემცირება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელობით შეიქმნა, უკვე არსებობს და დამტკიცებულია „საგზაო უსაფრთხოების სფეროში მოქმედების ათწლიანი გეგმა“ , რომელიც მოიცავს დეტალურ სამიზნეებს და ინდიკატორებს. გეგმა მოწონებულია მონაწილე ქვეყნების, საერთაშორისო ბანკების, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მრავალი საერთაშორისო, არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ.

აღნიშნული სამოქმედო გეგმა გამოყოფს „უსაფრთხო სისტემის“ ხუთ ძირითად სვეტს, რომელთა განხორციელების შედეგად შესაძლებელია საგზაო შემთხვევებით გამოწვეული სიკვდილიანობისა და ტრავმების რაოდენობის შემცირება.

1. საგზაო უსაფრთხოების მენეჯმენტის გაუმჯობესება, რომელიც გულისხმობს მონაცემთა შეგროვების სისტემის დახვეწას, ქვეყანაში საგზაო უსაფრთხოების სფეროში წამყვანი და დაფინანსებული ორგანიზაციის შექმნას; 2. უსაფრთხო გზის ინფრასტრუქტურა; 3. უსაფრთხო ტრანსპორტი (დღეისთვის ყოველწლიურად წარმოებული ახალი მანქანების მესამედი არ აკმაყოფილებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სატრანსპორტო უსაფრთხოების სტანდარტებს); 4. უსაფრთხო გზის მომხმარებლები: ღვედის გამოყენების გაზრდა, მოტოციკლის ჩაფხუტის გამოყენება, ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვის აკრძალვა და, ყველაზე მნიშვნელოვანი, გზებზე ეფექტური სიჩქარის მენეჯმენტის შექმნა, ეფექტური სტანდარტების, კანონმდებლობის შექმნა, სააღმსრულებლო ღონისძიებებისა და ცნობიერების ამაღლება; 5. ავარიის შემდგომ პირველადი დახმარების გაწევა და დროული რეაგირება.
მნიშვნელოვანია სწრაფი ინტერვენცია "ოქროს საათში“ მას შემდეგ, რაც დაზიანება მოხდება.
ჩვენი დახმარებით უსაფრთხო გზების შექმნისთვის „Long Short Walk“ კამპანია ჩატარდა. FIA Foundation მოუწოდებს, რომ საგზაო შემთხვევების დროს მიღებული დაზიანებები იყოს ჩართული 2015 წლის შემდგომი მდგრადი განვითარების მიზნებში. როგორც გლობალური სამოქმედო გეგმები აჩვენებს, ჩვენ უნდა გავუმკლავდეთ ადამიანის მიერ შექმნილ ეპიდემიას. 2015 წლის შემდგომი პროცესები დაგვეხმარება პოლიტიკური ვალდებულებების ჩამოყალიბებაში, საგზაო უსაფრთხოების დაფინანსების გაზრდაში და ეროვნულ დონეზე ამ საკითხის წამოწევაში, რათა გადავარჩინოთ მილიონობით ადამიანის სიცოცხლე.

სუფთა

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიხედვით, სამწუხაროდ, ჰაერის დაბალ ხარისხს უდიდესი წვლილი მიუძღვის ყოველწლიურად სულ მცირე 3.2 მილიონი ადამიანის სიკვდილში. ამის გამომწვევია დამაბინძურებლები, როგორებიცაა ნახშირორჟანგი, ოზონი, გოგირდის ორჟანგი, აზოტის ოქსიდი და სხვა მძიმე ნაწილაკები, რომელთა 70-90%-ს ბენზინზე მომუშავე მანქანები გამოყოფენ. ისინი უარყოფითად მოქმედებენ ადამიანის ჯანმრთელობაზე, კერძოდ, სასუნთქი გზების ინფექციებსა და გულსისძარღვთა სისტემის დაავადებებს იწვევენ. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ღია ჰაერის დაბინძურებას ადამიანებისთვის კარცენოგენური კლასიფიკაცია მიაკუთვნა. ჰაერის დაბინძურების მაღალი მაჩვენებლის მქონე ქალაქებში სიკვდილიანობა 15-20%-ით მეტია, ვიდრე შედარებით სუფთა ქალაქებში. განვითარებადი მსოფლიოს უდიდესი ნაწილის ძირითადი დასახლებული ცენტრები კატასტროფულადაა დაბინძურებული ტრანსპორტის გამონაბოლქვით, რაც მოსახლეობის ჯანმრთელობას ძალიან დიდი რისკის ქვეშ აყენებს. 2009 წელს ჩინეთის 113 ქალაქიდან მესამედმა ვერ ჩააბარა ჰაერის ხარისხის ტესტი. ჯაკარტაში (ინდონეზია) და კაიროში (ეგვიპტე) მძიმე ნაწილაკების მაჩვენებელი ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დასაშვებ მაჩვენებლებს ორჯერ და სამჯერ აჭარბებს. ერთ-ერთმა კვლევამ, რომელიც ნიგერიაში მოზარდებში სასუნთქი გზების დაავადებების რისკ-ფაქტორებს სწავლობდა , ნათლად აჩვენა ამ დაავადებების პირდაპირი კავშირი ტრანსპორტის გამონაბოლქვთან . ყოველივე ეს მძიმე მდგომარეობაში აყენებს ოჯახებს, საზოგადოებას და ჯანდაცვის ორგანიზაციებს. თუმცა, ჰაერის დაბინძურების შემცირებას ფასი-სარგებლის 30:1-ზე მეტი პროპორცია აქვს და არსებული ახალი ტექნოლოგიებისა და პოლიტიკის დახმარებით **2015 წლის შემდგომ შესაძლებელია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ჰაერის დაბინძურების დასაშვებ საზღვრებში 1.5 მილიარდი ადამიანის მოქცევის მიზნის მიღწევა.** ამ მხრივ. პირველი გადამწყვეტი ნაბიჯი იქნება ავტოტრანსპორტის საწვავში გოგირდის მაჩვენებლის ზღვარს ქვემოთ დაწევის ვალდებულების აღება.

2002 წელს იოჰანესბურგში მსოფლიოს მდგრადი განვითარების სამიტზე ჩამოყალიბდა სუფთა საწვავის და ტრანსპორტის პარტნიორობა. მისი მიზანია განვითარებადი ქვეყნებისთვის ჰაერის დაბინძურებების შემამცირებელი საწვავის და სატრანსპორტო ტექნოლოგიების ხელშეწყობა. აღნიშნული ინიციატივა პრაქტიკულ შედეგებზე ფოკუსირებული მულტისექტორული თანამშრომლობის ძალიან წარმატებული მოდელია. საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ფონდი პარტნიორობას 2003 წელს შეუერთდა . თავის მხრივ, ფონდი ახორციელებს ინიციატივას, რომელიც მიზნად ისახავს 2050 წლისათვის გზებზე ყველა ტიპის ავტომობილის საწვავის ეკონომიის საშუალო მაჩვენებლის 50%-ით გაზრდას (ანუ საწვავის მოხმარების შემცირებას ყოველ გავლილ კილომეტრზე).

სამართლიანი

უსაფრთხო და მდგრადი ტრანსპორტი ვერ მიიღწევა იზოლირებულად. უამრავ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორს აქვს გავლენა საგზაო უსაფრთხოებასა და ჰაერის ხარისხზე. სწრაფი გზების ადგილმდებარეობა, გადატვირთული მოძრაობა და დაუცველი გარემო, საგზაო შემთხვევების მაღალი რისკით და ტოქსიკური ჰაერის სუნთქვა, ეს არის შედეგი ურბანული დაგეგმარების და მიწის გამოყენება-ფლობის შესახებ გადაწყვეტილებების, რომლებიც ზოგჯერ მიღებულია წინა თაობის მიერ და ძველი პრობლემების გამომახილია .

ყველაზე სახიფათო და მჭიდრო გზების არეალში ძირითადად ღარიბი და სოციალურად დაუცველი ჯგუფები ცხოვრობენ და ფეხით უწევთ გადადგილება. სატრანსპორტო პოლიტიკა, ჩვეულებრივ, უპირატესობას ანიჭებს მანქანის მძღოლებსა და სატრანსპორტო გზების განვითარებას. მაგრამ უსაფრთხო მოძრაობა და სუფთა ჰაერი არის უფლება, რომლითაც ყველა უნდა ვსარგებლობდეთ.

სიღარიბის ეფექტური დაძლევისათვის საჭიროა ბალანსი და თანასწორობა ჩვენს სატრანსპორტო სისტემაში. სწორედ ამიტომ, საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ფონდი მუშაობს UNEP-თან ერთად საპილოტე პროექტზე - „გაიზიარე გზები“, რაც გულისხმობს პოლიტიკის შემქმნელებისა და სატრანსპორტო სისტემის, გზების დიზაინერების წახალისებას, რომ ქალაქებში ააშენონ უსაფრთხო გზები, მოაწყონ მწვანე საზოგადოებრივი სივრცეები, რაც წაახალისებს ფეხით სიარულსა და ველოსიპედით გადაადგილებას. უგანდა, რუანდა, კენია და ბურუნდი უკვე მუშაობენ ჩვენთან ერთად მათი საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობის პოლიტიკის შესაცვლელად, მაგრამ ჩვენ გვინდა დავინახოთ გლობალური ცვლილებები მთავრობებსა და დონორთა პოლიტიკაში, რაც

გულისხმობს სისტემატურ ინვესტიციებს საფეხმავლო და ველოგზების ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით.

ჩვენ ასევე ვეხმარებით საერთაშორისო ორგანიზაციებს, ქვეყნებს ტრანსპორტის უსაფრთხოების სტანდარტების განვითარებაში აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში, რათა მათაც ჰქონდეთ მოძრაობის დაცვის და უსაფრთხოების კუთხით მაღალი დონე.

მწვანე

გლობალური სათბურის აირების ემისიაში სატრანსპორტო სექტორის წვლილი მთლიანი ენერგიის ერთ მეოთხედს შეადგენს და იგი, სხვებთან შედარებით, ყველაზე მზარდი სექტორია. 2050 წლისთვის მსოფლიოში მოსალოდნელია ავტომანქანების რაოდენობის გასამმაგება და უმეტესი წილი ეკონომიკური თანამშრომლობისა და დახმარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნებზე მოდის. ჩვენ გვჭირდება ერთად მოქმედება, რათა ადამიანის გადაადგილებაზე არსებული ლეგიტიმური მოთხოვნებისა და განვითარების პარალელურად, შევამციროთ საწვავის მოხმარება და CO2-ის გამოყოფა მთელ მსოფლიოში.

სატრანსპორტო საწვავის ეკონომია არის მნიშვნელოვანი კონტრიბუცია ამ მიზნების მისაღწევად, მაშინ, როცა დიდი ყურადღება ექცევა ენერგიის უსაფრთხოებასა და მდგრად განვითარებას. „მდგრადი ენერგიის უზრუნველყოფა“ რეკომენდებულია, როგორც განსაკუთრებული მიზანი მაღალი დონის პანელისთვის 2015 წლის შემდგომი პერიოდი განვითარების პროგრამის დღის წესრიგისთვის, რომელშიც შედის 2030 წლის მიზნები, კერძოდ, ენერგოეფექტური ტრანსპორტის რაოდენობის გაორმაგება.

მსოფლიო საწვავის ეკონომიის ინიციატივა - GFEI-ის 50by50 კამპანია მოიცავს სამ თანმიმდევრულ ეტაპს:

2020 წლისათვის ახალ ავტომობილებში საწვავის ეკონომიურობის 30%-ით გაზრდა;

2030 წლისათვის ახალ ავტომობილებში საწვავის ეკონომიურობის 50%-ით გაზრდა;

2050 წლისათვის ყველანაირი ტიპის ავტომობილში საწვავის ეკონომიურობის გაზრდა 50%-ით.

შედეგად, მსოფლიოში შესაძლებელი გახდება 6 ბილიონი ბარელი ნავთობის ყოველწლიურად დაზოგვა.

FIAFoundation მუშაობს ჩვენს GFEI პარტნიორებთან სხვადასხვა ქვეყანაში – ჩილე, რუსეთი, საქართველო და ესტონეთი, რათა დახმარება გაუწიოს ამ ქვეყნებს მათთვის მისაღები საწვავის ეკონომიის პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. 2050 წლამდე 400 ტრილიონი დოლარის ინვესტიცია ჩაიდება ტრანსპორტსა და საწვავში. ახლა დროა მსოფლიო საზოგადოება ორიენტირდეს ყველაზე საბაზისო ენერგოსაკითხებზე და შექმნას სივრცე იმისთვის, რომ დაგეგმილმა პოლიტიკამ და ტექნოლოგიების გამოყენებამ რეალური შედეგი გამოიღოს.

2015 წლის შემდგომი პერიოდის განვითარების გეგმა

სატრანსპორტო პოლიტიკა და საგზაო უსაფრთხოება, თავისი სასიცოცხლო მნიშვნელობით, ისეთივე აქტუალურია, როგორც ხელმისაწვდომი საცხოვრებელი, სუფთა წყალი, სანიტარიის საკითხები და სხვა ნებისმიერი პრიორიტეტი ადამიანური განვითარებისა და მდგრადი გარემოს შენარჩუნებისათვის. ამჟამინდელი პოლიტიკის გაგრძელება, სამწუხაროდ, ისეთ მდგომარეობამდე მიგვიყვანს, სადაც მოგებული არავინ დარჩება. ავტოტრანსპორტის დაუგეგმავი გაფართოება მილიონობით ადამიანის რისკის ქვეშ დაყენების საფრთხეს ქმნის. ის ქმნის გარემოს დაცვის მთელ რიგ პრობლემებს და ხელს უწყობს კლიმატის ცვლილებებს. საგზაო ჩიხი, რაც მოჰყვება დღევანდელი ავტოტრანსპორტის გაფართოებას, საფრთხეში ჩააგდებს ეკონომიკური ზრდის პოტენციალს. აღნიშნულის მოგვარება მხოლოდ სწორად დაგეგმილი და რეგულირებული ურბანიზაციით არის შესაძლებელი. ყველა ეს საკითხი მოგვარებადია და არ არის გარდაუვალი. სატრანსპორტო პოლიტიკა და საგზაო უსაფრთხოება შესაძლებელია ინტეგრირდეს უფრო ფართო სტრატეგიაში, როგორიცაა მწვანე ზრდა და მდგრადი განვითარება, როგორც ერთი ელემენტი ახალი მდგრადი განვითარების მიზნებში. ეს შეიძლება მოიცავდეს სპეციალურ სამიზნეებს საგზაო უსაფრთხოებისათვის, ჰაერის ხარისხის კონტროლს ლოკალურ დონეზე და საწვავის ეკონომიურობას, რაც ასევე უნდა მოიცავდეს 2030 წლისთვის საგზაო შემთხვევების 50%-ით შემცირების გეგმას. ამ მიზნების მიღწევა გადაარჩენს უამრავი ადამიანის სიცოცხლეს, შექმნის სამუშაო ადგილებს და შეამცირებს გარემოზე სახმელეთო ტრანსპორტის უარყოფით ზეგავლენას. ჩვენი მიზანი უნდა იყოს გავხადოთ გზები და ტრანსპორტი უსაფრთხო, სუფთა და ხელმისაწვდომი ყველასთვის.

ცვლილებების ადვოკატირება, პრობლემების მოგვარება

The FIA Foundation (საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ფონდი) არის ბრიტანეთში დარეგისტრირებული დამოუკიდებელი საქველმოქმედო ორგანიზაცია. ჩვენი საგრანტო პროგრამებისა და ადვოკატირების ინიციატივების საშუალებით, პარტნიორულ პრინციპებზე დაფუძნებით, ვთანამშრომლობთ მრავალ საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ფონდი არის წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებული საგზაო უსაფრთხოების თანამშრომლობაში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომლებიც კოორდინირებას უწევენ გაერთიანებული ერების ათწლეულის პროგრამას – მოქმედება საგზაო უსაფრთხოებისათვის – შესრულებას; ორგანიზაციას აქვს საკონსულტაციო სტატუსი გაერთიანებული ერების ეკონომიკისა და საზოგადოების საბჭოში.
ფონდი დამფუძნებელი პარტნიორი და კოორდინატორია გლობალური საწვავის ეკონომიის ინიციატივისთვის და UNEP-ის სუფთა საწვავისა და ტრანსპორტისთვის პარტნიორობის წევრია. ფონდი არის მსოფლიო ბანკის საგზაო უსაფრთხოების ორგანიზაციის გამგეობის წევრი და დონორი და უსაფრთხო გზების ფონდის საქმიანობას მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციასთან ერთად უწევს ორგანიზებას. ჩვენი პრიორიტეტია ავაშენოთ და მხარი დავუჭიროთ მოქმედებაზე ორიენტირებულ პარტნიორობას, რომელიც სთავაზობს პრობლემის პრაქტიკული გზებით გადაწყვეტას და რომელთა დაუყოვნებლივ განხორციელებაც შესაძლებელია.

ტყვიის შემცველი საწვავის განადგურება (eliminating leaded fuel)

FIA Foundation, როგორც „პარტნიორობა სუფთა საწვავისა და ტრანსპორტისთვის“ წევრს, მიეცა უფლებამოსილება განახორციელოს PCFV-ის სამუშაოები 100-ზე მეტი ქვეყნის დასახმარებლად, რათა ბენზინში ტყვიის შემცველობა ეტაპობრივად შემცირდეს აფრიკის, აზიის, შუა აღმოსავლეთის, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. საერთო შეფასებით, პროგრამის შედეგად ყოველწლიურად გადარჩება 1,2 მილიონი ადამიანის სიცოცხლე და 2,4 ტრილიონ დოლარზე მეტი სარგებლის და დანაზოგის მიღება არის შესაძლებელი სოციალურ და ჯანდაცვის სფეროებში. პარტნიორობის მუშაობის შედეგად ტყვიის შემცველი ბენზინი თითქმის ამოღებულია ხმარებიდან მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

უსაფრთხო სისტემის შექმნა უსაფრთხო გზებისთვის

ჩვენ უზრუნველვყავით ძირითადი, სასიცოცხლო დაფინანსება, რათა განხორციელებულიყო ინოვაციური საგზაო უსაფრთხოების პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებენ უსაფრთხო სისტემის მიდგომას გზებზე სიკვდილიანობის შემცირებისათვის. საერთაშორისო გზების შეფასებისა (iRAP) და ახალი ავტომანქანების შეფასების პროგრამების (Global NCAP) საშუალებით, დამოუკიდებელი შეფასების სისტემები საგზაო ინფრასტრუქტურისთვის და ტრანსპორტისთვის უსაფრთხოება უზრუნველყოფენ გამჭვირვალობას და ობიექტურ ინფორმაციას აწვდიან გადაწყვეტილების მიმღებებს და საზოგადოებას. მოტოციკლის ჩაფხუტების გამოყენება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, უსაფრთხო სკოლების ინიციატივა აფრიკაში, პოლიციის ტრენინგი აღმოსავლეთ ევროპაში და უსაფრთხოების ღვედების პროგრამა სამხრეთ ამერიკაში ის ძირითადი არასამთავრობო პროგრამებია, რომელთაც ჩვენ ვუჭერთ მხარს; და დამატებით, საგზაო უსაფრთხოების გრანტის პროგრამის FIA-ს კლუბის წევრებისათვის მიზნად ისახავს გზების მომხმარებლების უსაფრთხო ქცევის ჩამოყალიბებას.

საწვავის ეკონომიის ხელშემწყობი სტრატეგია

მსოფლიო საწვავის ეკონომიის ინიციატივა მუშაობს სხვადასხვა ქვეყნის ხელისუფლებასთან ერთად საწვავის ეკონომიის ეროვნული სტრატეგიის შესამუშავებლად. FIA Foundation-ის კოორდინირებით, პარტნიორებთან ერთად – საერთაშორისო ენერგიის სააგენტო (IEA), საერთაშორისო ტრანსპორტის ფორუმი, სუფთა ტრანსპორტირების საერთაშორისო საბჭო, UC Davis და UNEP – შემუშავდა ინიციატივა, პრაქტიკული ინსტრუმენტები და ჩატარდა რეგიონული სამუშაო შეხვედრები, რაც გულისხმობდა ქვეყნების დახმარებას საგზაო რუკის დიზაინის შექმნის პროცესში, რათა გაუმჯობესდეს საწვავის ეკონომიის განხორციელების პროცესი. საწვავის ეკონომიის საშუალებით შესაძლებელია 6 ბილიონი ბარელი საწვავის დაზოგვა ყოველწლიურად, 2050 წლისთვის, ასევე, ტრანსპორტის მიერ CO2-ის გამოყოფის დაახლოებით ნახევარჯერ შემცირება. ეს უკვე შესაძლებელია არსებული ეფექტური ტექნოლოგიების გამოყენებით.

ჰაერის ხარისხის სამოქალაქო მონიტორინგი!



ერთად ვიზრუნოთ საქართველოში ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებაზე!

ჰაერის დაბინძურება ერთ-ერთი მწვავე და მზარდი გარემოსდაცვითი და ჯანმრთელობის პრობლემაა.

არასამთავრობო ორგანიზაციები კოალიცია „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისათვის“, „ელვა“ და „ეკოხედვა/ECOVISION“ ახორციელებს მოქალაქეების ჩართულობის ინოვაციურ პროექტს „სუფთა ჰაერი საქართველოსთვის“, აღმოსავლეთ-დასავლეთის პარტნიორობის ინსტიტუტისა (EWMI) და USAID-ის ფინანსური დახმარებით.

პროექტის ფარგლებში საქართველოში ჰაერის ხარისხი 40 სენსორის საშუალებით გაიზომება, რომლებიც დამონტაჟდება სხვადასხვა ქალაქში და ავტომატურ რეჟიმში აისახება სპეციალურად შექმნილ ვებ-გვერდზე საქართველოს სხვადასხვა ადგილებში არსებული ნახშირბადის ოქისიდი (CO) და აზოტის დიოქსიდის (NO_2) არსებული მაჩვენებლები. მოქალაქეებს საშუალება ექნებათ გაზომონ ჰაერის ხარისხი თავიანთ საცხოვრებელ არეალში და მიღებული მონაცემები შეადარონ სხვა ადგილების მონაცემებს. შემდგომში მოხდება აღნიშნული ინფორმაციის დამუშავება და შესაბამის სახელმწიფო ორგანიზაციებში გადაგზავნა. ასევე, განხორციელდება ადვოკატირების კამპანია, რომელიც მიმართული იქნება ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებისკენ. მომზადდება სატელევიზიო ფილმი, რომელიც პოპულარიზებას გაუწევს სუფთა და საწვავდამზოგ სატრანსპორტო საშუალებებს, მომზადდება სატელევიზიო პროგრამა ახალგაზრდებისათვის.



რას იწვევს ჰაერის დაბინძურება

- თავბრუსხვევა და თავის ტკივილი
- სუნთქვის გაუარესება
- ყელის გაღიზიანება
- ხველა
- ასთმა
- გულსისხლძარღვთა დაავადებები
- ტკივილი გულმკერდის არეში
- ბრონქიტი
- ფილტვების ფუნქციონირების გაუარესება
- ფილტვების კიბო

საქართველოში მთლიანი ავადობის **17%**,
ხოლო სიკვდილიანობის **19 %**
განპირობებულია გარემოს
მავნე ზემოქმედებით

ჰაერის დაბინძურება საქართველოში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა საზოგადოების ჯანმრთელობისათვის. კვლევებმა აჩვენა, რომ საქართველოს ქალაქებში ჰაერის დაბინძურება არის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი სისხლძარღვებისა და ქრონიკული დაავადებებისა, როგორიცაა ასთმა, დერმატიტი და სხვა. საქართველოში ჰაერის დაბინძურების ნომერ პირველი მიზეზი არის ტრანსპორტი, რომელზეც ჰაერის დაბინძურების 80% მოდის. ასევე, ავტომანქანების უმეტესობა არის მოძველებული და ცუდად მოვლილი, რაც მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს ჰაერის ხარისხზე, განსაკუთრებით ქალაქებში და მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში. მოსახლეობის არასაკმარისი ინფორმირებულობა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ხელს უწყობს ჰერის დაბინძურებას. მაგალითად, ავტომობილის მძღოლთა დაახლეობით 85%-მა არ იცის, რომ მათ თვითონვე შეუძლიათ შეამცირონ საწვავის მოხმარება 25-30%-ით ეკომართვით.

საქართ

აირჩიე მწვანე ტრანსპორტი!
არ დააბინძურო საქართველო!

www.safedrive.ge
www.ecovision.ge
www.elva.org
www.haeri.ge

პროექტის ავტორი: გელა კვაშილავა, ბრიტანული ორგანიზაცია აღმოსავლეთ ევროპის ალიანსი უსაფრთხო და მდგრადი ტრანსპორტისთვის მრჩეველთა საბჭოს წევრი და კონსულტანტი
http://www.easst.co.uk

სუფთა ჰაერი საქართველოსთვის

ფონდი „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის" მისია

- ✓ საქართველოს გზებზე ტრავმებისა და ფატალური შემთხვევების შემცირება;
- ✓ სახელმწიფო, კერძო, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის თანამშრომლობა;
- ✓ საგზაო უსაფრთხოების კულტურის ამაღლება და მოზარდთა განათლების ხელშეწყობა;
- ✓ უსაფრთხო, სუფთა, სამართლიანი და მწვანე ტრანსპორტის პოპულარიზაცია;
- ✓ საქართველოს საგზაო უსაფრთხოების გლობალურ მოძრაობაში ჩართვა და გამოცდილების გაზიარება.